სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

7 თებერვალი 20 24 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 06

"2023 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახემწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 4 დეკემბრის N180 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N89041, 30.01.2024წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება "2023 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახემწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 4 დეკემბრის N180 ბრძანებაში და ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართი 2-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტების ავტორებთან საგრნტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 1 მარტისა. "
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება ფონდის ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი